ცნობის ფურცელი

№ 2125 | პარასკევი, 18 აპრილი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2125

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ..ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

მ. მ. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუშლინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. მ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

მ. პ. ბაალუშნიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოზოლიშვილი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21 (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-ღის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

წარმოდგენა 49—10. ტელეფონი 617.
ქართული თეატრი
კვირას, 20 აპრილს, 1903 წ.
◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
✡ დაკლებულის ფასებით ✡
მეორედ ახალი პიესა.
I
მურად-ფაშა
ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებ. მეტერლინკის „მონნ-ვანადან".
მონაწილეობას იღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ოტელლო".
რეჟისორი ვ. გუნია.

სახალხო წარმოდგენა № 18
ტფილისის სიფხიზლის საზოგად.—ავლაბრის განყოფილება
ნ. ნ. მურაშკოს თეატრი
კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს
◆ სადღესასწაულო წარმოდგენა ◆
ქართული სცენის მოყვარეთაგან
გიგო გელიკურაშვილის ოცის წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად
წარმოდგენილი იქნება
I
ძუნწი
კომედია 2 მოქმედებად გ. ერისთავისა.
II
გაცრუებული იმედი
მეორე მოქმედება აზიანისა.
III
მათიკო
მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.
IV
აპოთეოზი
მონაწილეობენ: ქ. ქ. აფხაზიშვილი, გორელი, ქართველიშვილი, ჟურული; ბ. ბ. ბილაშვილი, გაბოშვილი, გელიკურაშვილი, იმედაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, რევაზიანი, სალაყაია, ფავლენიშვილი, ყალაბეგაშვილი და სხვ.
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა, დუდუკი და ქართველ მომღერალთა გუნდი იმღერებს.
თეატრთან არის სასეირნო ბაღი და ბუფეტი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
შემდეგისთვის მზადდება: „დამნაშავე?" დრ. ფოსისა
(3—2) რეჟისორი იოსებ იმედაშვილი.

საზღვარ-გარედ

—

ბალკანეთი. ეს მეოთხედ უგზავნის სულთანი დეპუტაციას ალბანელებს და მუხლმოდრეკილი ევედრება—ნება მომეცით რეფორმები შემოვიღო მაკედონიის ვილაეთებშიო. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელნი კი ყოველ დღე ენერგიულად და მტკიცედ სთხოვენ ბრწყინვალე პორტას—მკაცრი ღონისძიება მიიღოს ალბანელების წინააღმდეგ და დააჩქაროს რეფორმების შემოღების საქმე. როდემდის უნდა გაჭიანურდეს ასეთი აუტანელი მდგომარეობა?!

◆ დაუჯერებელ ამბავს იწერება გაზეთ „ტაიმს"-ის პარიზელი კორესპონდენტი ბოლგარიის მთავარ ფერდინანდის შესახებ: ეხლახან მთავარი სოფიიდან რივიერაში წავიდა. ასეთ გამწვავებულ კრიზისის დროს სამთავროს დატოვებას და რივიერაში დასასვენებლად წასვლას იმითი ხსნიდნენ, რომ ალბად ბალკანეთის საქმე არც ისე გამწვავებული ყოფილა, როგორც ჰფიქრობდნენო. ხსენებულ კორესპონდენტის ცნობებით კი მთავარ ფერდინანდის წასვლა უფრო გაქცევა უნდა იყოს.

როგორც ვიცით, ბოლგარიამ ვერ შესძლო ისე მოეწყო მაკედონიის საზღვრების თვალ-ყურის გდება, რომ რევოლიუციონერები ვერ გადადიოდნენ და ვერ გადაჰქონდეთ სამხედრო მასალა მაკედონიაში.

მეორე მხრით, ისიც ცნობილია, რომ ავსტრია-რუსეთის შეთანხმებას სახეში ჰქონდა ისეთი გარემოებაც, როდესაც ბოლგარია და სერბია ვერ შესძლებდნენ თავის შეკავებას და ხელს შეუწყობდნენ მაკედონიის რევოლიუციონურ მოძრაობას. ასეთ შემთხვევაში ოსმალეთს ნება ეძლევა არაფერს და არავის არ დაერიდოს და მიიღოს უსასტიკესი და უმკაცრესი ღონისძიებანი რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროების დროს ოსმალ ჯართა სამხედრო ოპერაციები შეიძლება გავრცელდეს მაკედონიის საზღვრებს გარედაც—ბოლგარიისა და სერბიის ტერიტორიაზე.

ასეთი საშიში ღონისძიებაც კი უკეთესად მიაჩნიათ მოკავშირე სახელმწიფოებს, ვიდრე მთელი ბალკანეთის აღდგენა და მოსალოდნელი გართულება საქმისა ევროპიელ სახელმწიფოებ შორის.

ოსმალეთის ჯარების ამ მოსალოდნელმა შემოსევამ შეაშინა ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი და გაიქცა რივიერაში—ბაშიბუზუკები არც მე დამინდობენო.

ყველა ზემოდ ნათქვამი, გარდა უკანასკნელისა, სიმართლეს მოკლებული არ არის. რაც შეეხება ფერდინანდის გაქცევას, იგი ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ასეთი ქცევა ტახტზე უარის თქმაა პირდაპირ, იმ ტახტზე, რომლის გულისთვისაც, ვინ იცის, რამდენი შავი დღე და შრომა აიტანა კობურგის პრინცმა. რომ ეს ხმა მართალი იყოს, ბოლგარიის ტახტს დაჰკარგავს არა მარტო ფერდინანდი, არამედ მისი შვილიც. ვიმეორებთ, ფერდინანდ კობურგელს იმდენად უყვარს სამეფო ტახტი, რომ ასე ადვილად თავს არ დაანებებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბაშიბუზუკები არ დამინდობენო.

◆ იმავ „ტაიმს"-ის კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი იწერება, რომ ოსმალები მოელიან ომიანობას და მზადაც არიან ამისათვისო: ალბანელების მოძრაობა მხოლოდ წინასიტყვაობაა მოსალოდნელ უფრო სერიოზულ ამბებისა; ოსმალეთის მთავრობა სარგებლობს ალბანელების წინააღმდეგობით, რომ დიდ-ძალ ჯარს მოუყაროს თავი მაკედონიაში და შემდეგ, საჭიროების დროს, ჩქარის მარშით პირდაპირ სოფიისაკენ გაჰგზავნოს. ოსმალების შეხედულებით, ბოლგარიასთან ომი სჯობს საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობას, თუმცა შესაძლებელია, რომ ომს საქმის გართულება მოჰყვეს.

საფრანგეთი. როგორც ვიცით, საფრანგეთის პარლამენტმა, თანახმად მთავრობის წინადადებისა, არ შეიწყნარა კონგრეგაციების თხოვნა საფრანგეთში მოქმედების ნებართვის შესახებ. ამას მოჰყვა პირველ მინისტრის კომბის ცირკულიარი, ეპისკოპოსებმა ნება არ მისცეს დახურულ კონგრეგაციების ბერებს ეკკლესიებში თანამდებობა მიიღონ და იქადაგონო. კლერიკალებს პარლამენტისა და მთავრობის მოქმედების საპასუხოდ გადაუწყვეტიათ აშკარა წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის ყოველ განკარგულებას. პარიზის კონგრეგაციებ შორის მხოლოდ ორი დამორჩილებია პარლამენტის დადგენილებას და დაშლილა. სხვები კი უარზე დგანან—არ გვინდა ნებით დავემორჩილოთ ასეთ უსამართლო განკარგულებასაო. ამათ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე დაწყებული. კონგრეგაციებს მიემხრნენ ეპისკოპოსები. ლიონის კარდინალ-ეპისკოპოსმა შეატყობინა პირველ მინისტრს კომბს, რომ ვერ აასრულებს მის ცირკულიარს, რომელიც ქადაგებას უკრძალავს დახურულ კონგრეგაციების წევრებს. ესევე განაცხადა ნანტის ეპისკოპოსმა. კიდევ უფრო ენერ-

ფელეტონი

—

საზოგადოებრივი პიესები იბსენისა

(შემდეგი *)

„ქალი საუკეთესო ყვავილია ქვეყნისაო", ამბობს იბსენი. იგი, მებრძოლი თავისუფალი და მაღალი პიროვნებისათვის, არსებითად შეიქმნა ქალის განთავისუფლების და დამოუკიდებლობის მწერალი. იბსენის საუკეთესო გმირები ქალებია, ქალები უკაფავენ გზას კაცობრიობას ახალის ცხოვრებისაკენ. მისი უმთავრესის პიესების საგანი ქორწინებაა; იგი ჰგმობს ქალის და კაცის დღევანდელს ურთიერთობას და თხოულობს ისეთს ცოლქმრულს კავშირს, როდესაც ცოლს და ქმარს შეგნებული აქვთ თავისი თავი, შეგნებული აქვთ ერთმანეთი და გამსჭვალულნი არიან იმ აზრით, რომ ერთად უნდა განვლონ ცხოვრების გზა, იყვნენ ერთი მეორის გამამხნევებელი, ტვირთის შემმსუბუქებელი და ნუგეში. ცოლქმრობა უნდა იყოს სრული თანასწორობა, რადგან უამისოდ შეუძლებელია ნამდვილი კავშირი, ნამდვილი სიყვარული. დღევანდელის ბურჟუაზულ ცხოვრების ვაჭრულმა ცოლქმრობამ კი მოუკლა ქალს სიყვარული, დაამახინჯა მისი აღზრდა, მოუსპო პიროვნება, წაართვა ყოველივე აზრი მის არსებობას. დღეს ქალი აღარ არის ზნეობრივი არსება, რომელსაც შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი ადამიანური მოვალეობა, მინიჭებული უნდა ჰქონდეს ადამიანური უფლებები. ქალი სავაჭრო საქონელია, რომელიც გადადის მამის ხელიდან ქმრის ხელში, რომელსაც ფასი აქვს მხოლოდ როგორც სქესის წარმომადგენელს, ფასი აქვს იმდენად, რამდენად უფრო აკმაყოფილებს მამაკაცის სქესურ მოთხოვნილებას.

ცოლი არ არის ქმრის ამხანაგი და მეგობარი. უდიდესი სიყალბე დღეს ცოლქმრული კავშირის სიყალბეა. ყალბია საზოგადოება, რადგან იგი მოკლებულია ქალის და კაცის ჭეშმარიტს კავშირს, მოკლებულია ქალებს—ადამიანებს. დღეს ქალები ცხოვრობენ ტიკინთა სამეფოში, ყველანი დამონებულნი არიან ნორასავით, მაგრამ ერთი და ორი თუ აღსდგა უფლების მოსაპოვებლად. იბსენის „ნორა" მოუწოდებს დღევანდელს ქალებს ბრძოლისათვის.

ნორა ვექილის გელმერის ცოლია. მისი ქმარი რაც შეიძლება სინიდისიერად ასრულებს თავის მოქალაქობრივს მოვალეობას. მათი ცოლქმრობა თითქოს ბედნიერია. ქმარი ანებივრებს ნორას და ძლიერ უხარია, რომ ბანკის დირექტორის ადგილი მიიღო, რადგან უფრო შეიძლებს მომავალში მხიარულად აცხოვროს ცოლი. ნორა მუდამ ცელქობს და ხტის, ისე ეთამაშება თავის შვილებს, თითქოს თვითონ იყოს ბავშვი. მაგრამ ამ გარეგან მხიარულების იქით იმალება მუდმივი დარდი. რამდენიმე წლის წინად, როდესაც ქმარი მძიმე ავად იყო და ექიმის აზრით საჭირო იყო მისთვის სამხრეთისაკენ გამგზავრება, ნორამ ჩუმად ისესხა ფული, და, ქმარს რომ რაიმე ეჭვი არ აეღო, გააცხადა, ეს ფული განსვენებულის მამისაგან მერგოო. მართლაც, იმ ხანებში გარდაიცვალა მამა მისი, და ნორას საიდუმლო არავინ არ იცოდა... არ იცოდა გარდა ერთის კროგსტადისა, რომელმაც ასესხა მას ფული. კროგსტადს ხელში აქვს ვექსილი ხელმოწერილი ნორას და მამა მისის მიერ, რომელიც გარდაიცვალა ერთის დღის წინ ვექსილზე ხელის მოწერამდის, ერთის სიტყვით, ნორამ ჩაიდინა სიყალბე, ხელი მოაწერა მამის მაგიერ, რათა ფული ეშოვნა და გადაერჩინა სიკვდილს საყვარელი ქმარი. ნორა იმდენად გულუბრყვილოა, რომ სრულებით არ იცის, თუ რა დანაშაულობა ჩაიდინა, მისი სინიდისი მშვიდია და დარწმუნებულია, რომ არავის მოტყუილება არ უნდოდა, იმუშავებს და ყველაფერს გადაიხდის. ღამ-ღამობით ჩუმად სხვადა-სხვა სამუშაოს ასრულებს, გადასაწერს ან სხვა რასმე, ოჯახშიაც დიდს ეკონომიას სწევს, რომ ორ-ორი გროში მოაგროვოს, და ვალი გადაიხადოს. ასეთის შევიწროებით, ასეთი თავგანწირულობით ბედნიერია ნორა, ვიდრე ერთს მშვენიერს დღეს კროგსტადი თვალს არ აუხელს ნორას და არ დაანახვებს, რომ იგი დამნაშავეა, რომელსაც სატუსაღოში აქვს ადგილი.

მაგრამ ეხლაც, როდესაც კრედიტორი ემუქრება, რომ ყველაფერს გელმერს ვუამბობო, ნორა არავითარს სინანულს არ გრძნობს: მართალია, ადამიანები მის საქციელს დანაშაულობას ეძახიან, მაგრამ მან ჩაიდინა ეს საქციელი თავგანწირულის სიყვარულის გამო, იგი ასე მოიქცეოდა კვლავაც, თუ კი მისი ქმარი კიდევ განსაცდელში ჩავარდებოდა. ნორას სრულებით არ ეშინიან მისის სა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2119.

გიულად მოიქცა ნანსის ეპისკოპოსი ტიურინაზი—ეკლესიაში გამოაცხადა, რომ როგორც სიტყვით, ისე საქმითაც გაუწევს წინააღმდეგობას მთავრობის მოქმედებას. „მე უკვე მივეცი ადგილი ერთ აბატს, რომელიც აკრძალულ კონგრეგაციის წევრია, ვნახოთ გაბედავს თუ არა მთავრობა, ჩემ წინააღმდეგ საქმე შეადგინოს. ეპისკოპოს პერიგეს მოწერილობა გაუგზავნია თავის ხელქვეითებისათვის—ნუ დაემორჩილებით მთავრობის განკარგულებას... ეხლა ქრისტიანებმა უნდა აფრიალონ ჟანა-დ'არკის დროშა და არ დაზოგონ სისხლი და ფული მართალ საქმის დაცვისთვის.“

მიუხედავათ ყველა ამისა, საფრანგეთის ხალხის უმრავლესობა მთავრობის პოლიტიკის მომხრეა.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილმამულო ბანკის **რწმუნებულთა კრება** დანიშნულია 30 აპრილისათვის, ხოლო ქუთაისისა—24 მაისისთვის.

◆ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გზათა სამინისტროში საბოლოოდ გამოურკვევიათ შავის ზღვის პირად განზრახულ **რკინის გზის** მიმართულება.

◆ ტფილისის საპყრობილეთა გამგეობამ შარშანდლიდან გააძლიერა **ტუსაღთა მუშაობა**. საპყრობილეში ტუსაღებისთვის არის სტამბა და სხვა სახელოსნოები. ამ სახელოსნოებს გარდა შარშანდლიდან გამართეს 4 აგურხანა, სადაც ამუშავებენ ტუსაღებს. წელს საპყრობილეების ადმინისტრაციამ იკისრა 4 მილიონ აგურის დამზადება ღვდათა მესამე გიმნაზიისა, სამხედრო უწყებისა და სხვათათვის. 1000 აგურს ამ აგურხანაში ამზადებენ 14½—16 მანეთად. შარშან ტუსაღების მუშაობამ საპყრობილეებს მისცა 15 ათასი მანეთი, მარტო აგურხანებმა—5 ათასი მანეთი. წინად საპყრობილეთა ადმინისტრაცია წელიწადში ტუსაღთა მუშაობიდან იღებდა 7 ათას მანეთს, შარშან-კი, როგორცა ვსთქვით, 15 ათასი მანეთი აიღო.

◆ დღეს, 18 აპრილს, კრება ექმნება იმ კომისიას, რომელმაც უნდაააშენოს ზუბალაშვილის სახელობაზე **თავშესაფარი** ღარიბ მოხუცთათვის. თხვათა შორის, კომისიამ უნდა გადასწყვიტოს, როდის დაიწყოს თავშესაფარის აგება.

◆ კავკასიის საქალაქო სასწავლებელთა **მასწავლებლების კრება**, როგორც ამას წინად ვსწერდით, უნდა დაიწყოს 2 ივნისს. რადგან სასწავლებლებში ეგზამენები 15 ივნისამდე არ გათავდება, ამიტომ ლაპარაკია აღძრული, ან კრება გადასდონ ან ეგზამენები 2-მდე გაათაონ.

◆ აზრათა აქვთ გააფართოვონ ტფილისის **მთავარი საპყრობილე** კრწანისში. ამისთვის საპყრობილეთა გამგეობამ სთხოვა მიწათ-მოქმედების სამინისტროს, დაუთმოს ორი დესეტინა მიწა თელეთის აგარაკში, კრწანისს. საპყრობილეთა მთავარმა გამგეობამ უკვე შეადგინა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა საპყრობილეს გაფართოვებისა და ფულიც გადასდო ამისთვის. მაგრამ სამინისტრომ არ მოისურვა ორ დესეტინა მიწის დათმობა, რადგან ამ მიწაზე ტყის გაშენება უნდათ. საპყრობილეთა გამგეობამ მეორედ აღძრა შუამდგომლობა.

◆ ამას წინად **ტფილისელ მეპურეთა** ამქრის უსტაბაშმა სხირტლაძემ შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მეპურეებმა. დადგენილებათა ძალით მეპურეებმა სუფთად უნდა შეინახონ პურის საცხობი და თვითაც სუფთა ტანისამოსი ჩაიცვან ხოლმე პურის ცხობის დროს. არ უნდა ამუშაონ მეპურეებმა 15 წლისაზე უმცროსნი. მეპურეთა ამქარმა ყოველ სამ წელს უნდა აარჩიოს სამი კაცი, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ პურის ცხობის საქმეს. სავალდებულო დადგენილებათა პროექტი ხელოსანთა მოურავმა გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

◆ **ტფილისელი ჩარჩები** თავისას არ იშლიან. ეს ვაჟბატონები კვლავინდებურად უხვდებიან სოფლიდან მომავალ გლეხობას ვერასა და კოჯორის აღმართზე, გროშის ფასად იძენენ სხვა-და-სხვა სანოვაგეს და შემდეგ მამა-სისხლად ჰყიდიან. ხშირად გლეხს, რომელსაც ორიოდე კვერცხი მოაქვს გასასყიდად, ჩარჩების მთელი ბრბო უხდება და ხელიდან სტაცებს კალათას. ნუ-თუ ასე შეუძლებელი გახდა ამ ჩარჩთა თავ-გასულობის ალაგმვა?!

◆ დღეიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზების **მატარებლების მიმოსვლის დრო** იცვლება საზაფხულო წეს-რიგზე (იხ. ქვემოდ, „გამოსადეგ ცნობებში“).

◆ ინჟ. ბრაილოვსკიმა და ხატისოვმა აცნობეს ქალაქის გამგეობას, რომ თანახმანი ვართ საბჭოს მიერ შემუშავებულ ხელშეკრულებისა **სოლოლაკის ქვეშ გვირაბის** გაყვანის შესახებ, გარდა მე-10 და 14 მუხლებისაო. მე-10 მუხლი ეხება სამგზავრო ტარიფს. საბჭოს აზრით, ცხენის რკინის გზის ვაგონებისთვის უნდა დაწესდეს 15 კაპ., ხოლო ეტლებისთვის—5 კაპ. კონცესიონერები თხოულობენ, რომ ფურგუნებისა, ავტომობილებისა და ომნიბუსებისთვისაც 15 კაპეიკი დაწესდეს. ინჟ. ხატისოვი და ბრაილოვსკი თხოულობენ, გამგეობამ იმათი წინადადება მალე გადასცეს განსახილველად საბჭოს.

◆ მთავრობამ **სოჭსა და ტუაპსეში** განიზრახა ორის სამკურნალოს დაარსება. ფულს ამ სამკურნალოებისათვის გადსდებენ ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან.

◆ გუშინ, 17 აპრილს, ვაჟთა პირველ **გიმნაზიის 200 მოსწავლე** მასწავლებელ-აღმზრდელებთან ერთად რკინის გზით მცხეთაში წავიდნენ სასეირნოთ. იმათთვის რკინის გზის გამგეობამ მატარებელს 9 ვაგონი მოაბა.

◆ **სამტრედიიდან გვწერენ**: იორდანე სიხარულიძის მკვლელნი უკვე შეიპყრეს. როგორც გამოირკვა, ბოროტ-მოქმედნი ექვსნი ყოფილან. შეიპყრეს: გერასიმე ფოჩხუა, (რომელიც რევოლვერით დაჭრილია მარჯვენა მაჯაში თავისივე ამხანაგის მიერ; დაუჭრია შეცდომით ყაჩაღისა და იორდანეს შორის ბრძოლის დროს), სიმონა ბებია და მარკოზ ძიძიგური. დანარჩენნი მიმალულან. ერთი სოფელ ჯიხაიშელია ილარიონ ლეჟავა, რომელიც წინად სიხარულიძესთან მოსამსახურედ ყოფილა.

◆ ნაფიც ვექილთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა სამოსამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს შეცვლილ იქმნას პირველ მომრიგებელ სასამართლოში წესი თხოვნების მიღებისა როგორც ნაფიც ვექილებისა, ისე მომჩივანებისაგან. მომრიგებელ მოსამართლის განკარგულებით, სასამართლოში თხოვნებს იღებენ დილის 10 საათამდე; შემდეგ ისპობა საქმის გარჩევის დროს და ხელახლა იღებენ საქმის გარჩევის შემდეგ. ნაფიც ვექილებს ეს წესი შემავიწროებლად მიაჩნიათ, რადგან სხვა და სხვა ადგილას უხდებათ სიარული. თხოულობენ ნება დართონ ყოველ დროს შეიძლებოდეს თხოვნების შეტანა.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ხომ არ მოისურვებს იგი იმ ხეივნის მოკირწყვლას და განათებას, რომელიც მუშტაიდზე მიდის დიდუბეს.

◆ 16 აპრილს ქალაქის ტეხნიკოსებმა ზურაბიანცმა, შახნაზაროვმა და ახნაზაროვმა დაათვალიერეს ალექსანდრეს ბაღის მოაჯირი იმის გამოსარკვევად, შეკეთება უნდა თუ არა ამ მოაჯირს.

◆ გუშინ სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ვაგან სარქისოვისა, რომელსაც ცოლის საყვარლის ოქროვის მოკვლა ჰბრალდებოდა. პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბრალდებულს მიესაჯა 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, მაგრამ პალატამ სახეში მიიღო ზოგიერთი პატივსადები გარემოება და დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სამის წლის სასჯელი ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრებად შეეცვალოს.

◆ გუშინ სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ნიკოლოზ მეძმარიაშვილისა, რომელსაც თავ. ნიჟარაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია მეძმარიაშვილი და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და სამის წლით საპყრობილეში დაპატიმრება. პალატამ დაამტკიცა სასამართლოს განაჩენი.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ №-ის მოწინავე წერილში შეგვეპარა კორექტურული შეცდომა, რომელიც სრულიად ამახინჯებს წერილის აზრს. დაბეჭდილია:...ეს ახალი სკოლა მაღალ სასწავლებელში შესვლის ნებასაც იძლევა ..უნდა იყოს:... ნებას არ იძლევა..

რუსეთის ქრონიკა

◆ 30 მარტს პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა დაურიგა პეტერბურგის უფროსს მეეზოვეებს უმაღლესად ნაბოძები ოქროსა და ვერცხლის მედლები. სულ დაარიგეს 1 ოქროსი და 157 ვერცხლის მედალი.

◆ ბლაგოვეშჩენსკში ჩინელებს ხელ-ახლა დაეტყოთ რაღაც მოუსვენრობა. სწორედ ისე იქცევიან ეხლა, როგორც ჩინეთ-რუსეთის ომის დაწყებამდე იქცეოდნენ. ჩინელნი ჰყიდიან თავიანთ საქონელს, მაღაზიებს, სახლებს და მანჯურიაში მიეშურებიან. ამბობენ, საღამ-საღამოობით ჩინელები იკრიბებიან და ერთმანეთ შორის საიდუმლო თათბირსა ჰმართავენო. მუშა ჩინელებიც თავს ანებებენ საქმეს და მანჯურიაში მიდიან. წასვლის მიზეზებს ჩინელები არავის უმხელენ. ჩინელები იმას ამბობენ მხოლოდ, რომ ვაჭრობა დაეცა ან სამუშაო არ არისო.

◆ 15 აპრილს სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი სხვა-და-სხვა საქმეებისათვის შორეულ აღმოსავლეთს წავიდა.

ქუთაისის საკრედიტო საზოგადოების წევრთა კრება

სამშაბათს, 15 აპრილს, საკრედიტო საზოგადოების დარბაზში მოხდა ამ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 246 წევრი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე. შემდეგ წაიკითხეს ბანკის მოქმედების ანგარიში 1902 წლისა. წაიკითხეს აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება, საიდანაც სჩანს, ანგარიში სწორად ყოფილა შედგენილი; გამგეობას შეძლების და-გვარად ღონისძიება უხმარია, რომ მთავრობისაგან დანიშნულ რევიზორის შენიშვნები გაესწორებინა. სარევიზიო კომისია ბანკის საზარალოდ სთვლის, რომ ბევრს ვადა-გასულ განუსაჩივრებელ თამასუქებს მოუყრია თავი; საზარალოდ სთვლის აგრეთვე, რომ გამგეობას დიდძალი სესხი (330,000 მანეთი) გაუცია ქიათურის შავ-ქვაში (5,000,000 ფუთი), რომელზედაც თავი მოუყრია 130 ათას მანეთს სარგებელს. ის ურჩევს გამგეობას, მსესხებელთ დაუნიშნოს ფულის გადასახდელად ახალი ვადა, რისთვისაც ჩამოართვას მას ხელ-ახალი პირობა. საჭიროდ სთვლის აგრეთვე, რომ ფულის მისაღებ ორდერებს ხელს აწერდნენ არა ნაკლებ გამგეობის ორის წევრისა. შემდეგ თავ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა სარევიზიო კომისიის წევრის დ. ნ. ჩიკვაიძის კერძო აზრი, რომელიც მთავრობის მიერ დანიშნულ რევიზორის შენიშვნების გამეორებაა, როგორც ამბობს საბჭო. ბ-ნი ჩიკვაიძე ამბობს: ერთს გამგეობის წევრზე—თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძეზე—დიდი ვალი ირიცხება, სარგებელი გაუსწორებელია და გამგეობა არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს ამ არა სასურველ მოვლენის გასასწორებლად. თუმცა 1902 წელს დადგენილ იქმნა, საბჭოს ნებადაურთველად არ გაცემულიყო სესხი მარგანეცში, მაგრამ გამგეობამ მაინც გასცაო. ერთი სიტყვით, ამბობს ის—გამგეობის მოქმედებას თავნებობის ხასიათი აქვსო.

ნ. გ. ჟიჟინაძე საჭიროდ ჰხედავს, ეხლავე გარკვეულ იქნეს გამგეობისაგან, მართალია, თუ არა, ბანკმა 150 ათასი მანეთის ზარალი ნახა, როგორც ამბობს სარევიზიო კომისიაო. ამბობენ, ეს ტყუილიაო; საჭიროა ეხლავე გავიგოთ, რომ ტყუილად არ ვილაპარაკოთ და საზოგადოება შეცდომაში არ შევიყვანოთ.

ქციელის გამოქვეყნების, მხოლოთ ქმრის დარდი აქვს. ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი ქმარიც ისე გასწირავს თავს მისთვის, როგორც თვითონ გასწირა ქმრისთვის. ნორას ეშინია იმ მომენტის, როდესაც ქმარი ყველაფერს გაიგებს; თავს ზარს სცემს ის სასწაული, რომელიც უნდა მოხდეს მაშინ; მას წინ-და-წინ ეჩვენება, თუ როგორ ღებულობს თავის თავზე ქმარი დანაშაულობას, მზათაა პასუხი აგოს ნორას მაგიერ მთელის ქვეყნის წინაშე, უკუაგდოს თავისი სახელი და წავიდეს სატუსაღოში. ამის ფიქრები საშინელების და მასთან ნეტარების გრძნობებით აღუვსებს ნორას სულსა და გულს: ის უბედურება, რომელიც ეწვევა მის ქმარს, იქნება მასთანავე დამამტკიცებელი მისის უსაზღვრო სიყვარულისა...

მაგრამ არ მოხდა, რასაც მოელოდა ნორა და რისიც ეშინოდა თან. ფილისტერ გელმერს არა გაეგება-რა ცოლის ფიქრების. აზრადაც არ მოდის ცოლის მაგიერ იკისროს ყალბი ვექსილის შედგენა. როდესაც გაიგებს ცოლის საქციელს, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაიცვას თავისი სახელი და პატიოსნება, რომელსაც ჩირქი მოსცხო ცოლმა მოუფიქრებელის მოქმედებით. ჩვენს ვექილს, როგორც კეთილსინიდისიერს მოქალაქეს, პირზე აკერია მაღალი და ლამაზი სიტყვები: „ო, რა საშინელი გამოფხიზლებაა!.. ამდენი წელიწადი ის, ვინც ჩემი სიხარული იყო, ჩემი სიამაყე, —იყო მატყუარა, ფარისეველი, კიდევ უარესი—დამნაშავე! ო, რა სამაგლობაა! ფუი, ფუი!“ იმდენს უზრუნველობას იჩენს გელმერი, რომ მამასაც კი მოაგონებს ნორას: „შენც მამა შენსავით ქარაფშუტა ხარ, არავითარი სარწმუნოება, არავითარი ზნეობა, არავითარი გრძნობა მოვალეობისა!“ ეტყვის. სრულებით ვერ ხედავს, თუ რა გმირობა და თავგანწირულობაა დაფარული აგრე წოდებულს „დანაშაულობაში“, რომელიც ჩაიდინა ნორამ. ხედავს ფაქტის გარეგანს მხარეს და არა მის სულს, საზანს. მცირედაც არ ჩაიხედავს ცოლის გულში, რომ დაინახოს, თუ რა დრამა ჰხდება შიგ; არ ჩაიხედავს, რადგან არავითარი სულიერი ერთობა არა აქვს ცოლთან. მარტო ის აინტერესებს, თუ როგორ დაფაროს ყველაფერი და მართალი დარჩეს საზოგადოების თვალში. ამისათვის ეს „სამაგალითო მოქალაქე“ მზათ არის, თავი დაიმციროს და უკან მიიღოს ბანკში კროგსტადი, რომელიც რამდენიმე დღის წინად თვითონვე დაითხოვა ბანკიდან საექვო ყოფაქცევისათვის, თუ კი დაუბრუნებს მას სახიფათო ვექსილს და არაფერს გაამხელს.

კროგსტადი ვექსილს დააბრუნებს (საყვარელის ქალის გავლენით), და გელმერი ერთიან გამოიცვლება. გარეგნული იყო და ყალბი მისი ზნეობრივი აღელვება. როგორც კი თავიდან აიცილა განსაცდელი, უცებ დაივიწყა ყოველი მწუხარება, თითქოს სრულებით არაფერი მომხდარიყოს; ეხლა თითქოს ესმის კიდეც ცოლის საქციელი, თანაგრძნობას და სიყვარულსაც კი უცხადებს: „შენ გიყვარდი მე, როგორც უნდა უყვარდეს ცოლს ქმარიო“, ეუბნება ნორას. შენ არ გქონდა მხოლოდ ცხოვრების ცოდნა, მაგრამ ამის გამო განა ნაკლებად ძვირფასი შეიქენი ჩემთვის!.. არა, არა! აი ჩემი ხელი, მე ვიქნები შენი მასწავლებელი, წინამძღოლი, მე გირჩევ ყველაფერს. მე არ ვიქნებოდი მამაკაცი, რომ ქალურის სისუსტის გამო კიდევ უფრო მიმზიდავი და მშვენიერი არ იყო ჩემთვის. დაივიწყე ის მკაცრი სიტყვები, რომლებიც წამომცდა შიშის დროს... მე გაპატიე, ნორა! გეფიცები გაპატიე!“.

მეტად გულუხვი და სულგრძელი ბრძანდება ბ. გელმერი! მაგრამ ნორა მადლობას ეტყვის პატიებისათვის: ნორასთვის ცხადი შეიქნა, რომ მისი გელმერთან ცხოვრება დღემდის არ ყოფილა ნამდვილი ქორწინება. სულიერი ერთობა მასა და მის ქმარს შორის, როგორც ეს გამოაშკარავდა ამ საღამოს, ყოვლად შეუძლებელია. მას არა ესმის რა ქმრის და ქმარს მისი, დიდი უფსკრულია მათ შორის. საშინელმა წუთებმა აგრძნობინეს ნორას, რასაც ვერ ხედავდა რამდენიმე წლის განმავლობაში. „როდესაც მამაჩემთან ვცხოვრობდიო, ეუბნება ქმარს: მამაჩემის აზრებს ვემორჩილებოდი და მონურად ვითვისებდიო. მე თუ სხვა აზრები მქონდა, ეს მამაჩემს სწყინდა. მერე გადმოვედი შენს სახლში, ე. ი. მე, მინდა ვსთქვა, მამაჩემის ხელიდან გადმოვედი შენს ხელში. შენ ყველაფერს შენს გემოვნებაზე აწყობდი და აკეთებდი სახლში, მეც შენს გემოვნებას ვითვისებდი... მე კმაყოფილი ვიყავი მით, რომ გართობდი. შენ გინდოდა ეს. დიახ, მამაჩემმა და შენ დიდი ცოდვა ჩაიდინეთ. თქვენი ბრალია, რომ ჩემგან არაფერი არ გამოვიდა... ჩვენი სახლი მხოლოდ საბავშვო იყო. მე ვიყავი აქ ტიკინი-ცოლი, ისე როგორც მამაჩემის სახლში ვიყავი ტი

თავ. ვ. ა. თუმანიშვილი. მე მგონია, სარევიზიო კომისია ორ საქმეში ჰხედავს გამგეობის დანაშაულს; პირველია—ვადაზე გადაცილებულ ვექსილების განუსაჩივრება. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ ვექსილების უმეტესი ნაწილი უკვე გასწორდა; უმცირესი ნაწილი კი, თუმცა ყოველი ღონისძიება იყო მიღებული, ისევ დაგვრჩა; ასეთ ვექსილების გასწორება ისე მალე არ შეიძლება, როგორც ჩვენ გვინდა. მეორე საქმეა—მარგანეცში გაცემული სესხი, მაგრამ ამასაც თავის გასამართლებელი მიზეზი აქვს: ყველამ კარგად იცის, რომ მთელის წლის განმავლობაში საშინელი კრიზისი, უმოძრაობა იყო; ქვას ფასი არა ჰქონდა. საჯარო ვაჭრობა რომ დაგვენიშნა და გაგვეყიდნა მარგანეცი, ბევრს ვიზარალებდით. ამის გამო იძულებული გავხდით მოგვეცადნა, სანამ ასეთი კრიზისი გაივლიდა და ქვას ფასი მოემატებოდა. ჩვენი მოლოდინიც არ გამტყუნდა: 7 გემი ქვა უკვე გაიყიდა და იმედია, მალე მთლად გაიყიდება და ჩვენ ერთი კაპეიკიც არ დაგვეკარგება. როგორც ამას წინად ანჯაფარიძის საქმის გამო, ეხლაც ბანკის მტრები ავრცელებენ ყველგან ცრუ ხმებს, ბანკი ცუდ მდგომარეობაშიაო, რითაც ბანკს ნდობას უკარგავენ საზოგადოების თვალში და საფრთხეში აგდებენ. თუ ჩვენ კერძო ბანკები და საზოგადოება არ დაგვეხმარა, ისე როგორ უნდა ვაწარმოოთ საქმე? უთუოდ მოგეხსენებათ, რა ამბავი მოხდა რევიზორის ჩამოსვლის დროს, როდესაც ხმა გაავრცელეს, ბანკი იხურებაო, რამდენმა პირმა გაიტანა მობარებული ფული. არსად, არც ერთს ბანკს არ სჭირს ის, რაც ჩვენსას. სხვაგან, ბანკს რომ გასაჭირში დაინახავენ, თვითონ წევრები ეხმარებიან, შეაქვთ ფული, საზოგადოებას აიმედებენ და სხ. აქ კი სრულიად წინააღმდეგსა ვხედავთ: სრულიად რომ არაფერი იყოს, ისე გაჰბერავენ საქმეს და ავრცელებენ ცრუ ხმებს, ასე გეგონებათ, ბანკს საშველი არა აქვსო. ასე არ შეიძლება: ეს თქვენი ბანკია და თქვენვე უნდა ეცადოთ იმის კეთილ-დღეობას.

ნ. გ. ჭიჭინაძე: ჩვენ მოვთხოვეთ გამგეობას, აეხსნა სარევიზიო კომისიის შენიშვნები; ამის პასუხად გამგეობის თავმჯდომარე გვეუბნება, თქვენი მითქმა-მოთქმა და ცრუ ხმები ღუპავს ბანკს; თქვენ გაჩუმდით, ხმა არ ამოიღოთ და ჩვენი საქმე ძლიერ კარგად მიდისო. ბანკის მტრადაც რომ ჩამთვალონ, მე მაინც ვალდებული ვარ მივაქციო საზოგადოების ყურადღება სარევიზიო კომისიის შენიშვნებს. ყველაზე უფრო მწვავე დაგირავებულ მარგანეცის საქმეა. გვეუბნებიან, კრიზისის გამო იძულებული ვიყავით მსესხებელთათვის შეღავათი მიგვეცა, რომ ქვის ფასი აწეულიყო და ვალი გაგვენაღდებინა; საჯარო ვაჭრობით რომ გაგვეყიდა ქვა, ბევრს ვიზარალებდითო. მართლა ასე რომ იყოს საქმე, მაშინ არაფერი გვეთქმოდა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ასეთს თავის მართლებაში სიმართლე ნაკლებადაა. სხვაგანაც იყო დაგირავებული შავი-ქვა, როგორც, მაგალითად, ტფილისის საკომერციო ბანკში; თუ კი იქ დაგირავებული ქვა გაიყიდა, აქაურს რა დაემართა? ამაში გამგეობაა დამნაშავე და არა კრიზისი. ის არ ეცადა, არ აიძულა მსესხებელნი, რომ ქვა გაეყიდათ და ბანკი დაეკმაყოფილებინათ. ამგვარად სარგებელმა იმატა და კიდევ უფრო იმატებს და მსესხებელი სრულიად უძლური შეიქმნება, ვალი გადაიხადოს, თუ ეხლავე რამე ღონე არ ვიხმარეთ. ზარალი თავიდანაც მოსალოდნელი იყო, როდესაც გამგეობა 7½ კაპეიკს აძლევდა ფუთს შავ-ქვაში: საზოგადოთ, მარგანეცში ღირებულების 40%—50%-ს აძლევენ; ყოველს შემთხვევაში არა უმეტეს 60%-ისა; აქ კი მთელი 80% მიუციათ! ბ-ნ ჩიკვაიძის კერძო აზრში ერთი ადგილია: გამგეობას, საზოგადო კრების დადგენილების წინააღმდეგ, ერთი მრეწველობისათვის კიდევ მიუცია სესხი მარგანეცში, რითაც დაურღვევია ბანკის წესდება. აქ გამგეობა პირდაპირი პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, მით უმეტეს, რომ მის თავნებობას ზარალი მოჰყვა. მოხსენებაში ნათქვამია, სესხი მიეცა „для улучшенія качества марганца“-ო; თუ ქვა ცუდი და საეჭვო იყო, კიდევ რასლა ყრიდენ მასში ფულს! დიდი უკანონობაა ისიც, რომ ფულის მისაღებ წერილებზე (ორდერებზე) მხოლოდ ერთ წევრს უწერია ხელი. შავი-ქვის ოპერაცია, რაც შეიძლება, მალე უნდა გათავდეს; ამიტომ უნდა დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა და ქვა გაიყიდოს. მე არ ვამბობ, მარგანეცში სესხის გაცემა სამუდამოდ მოისპოს, მაგრამ 80%-ის მაგიერ 40%—50% უნდა მიეცეს მსესხებელს და მაშინ ბანკიც არ იზარალებს (საზოგადოება ტაშს უკრავს).

თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. ბ-ნ ჭიჭინაძის სიტყვიდან საქმის სრული უცოდინარობა და სხვების ნალაპარაკევის გაუგებრობა გამოსჩანს. იგი ბრალსა სდებს ბანკის თავმჯდომარეს, თითქოს ეთქვას, ჩვენ ბანკის საქმეებს ძლიერ კარგად ვაწარმოებთ და თქვენ ხმა არ ამოიღოთ, ჩვენს მოქმედებას არ შეეხოთო. მართლა რომ ასე ეთქვა, სისულელე იქმნებოდა. იმან მხოლოდ ისა სთქვა, ცრუ ხმებს ნუ ავრცელებთ გაზეთებში, ქუჩებზე და მით ბანკს სახელს ნუ უტეხთო. ჩვენი ბანკისთანა პატარა ბანკისათვის კი არა, ათი მილიონი რომ აქვს თავნი და 100 მილიონი მიბარებული ფული, იმისთანა ბანკშიაც საშიშია ცუდის ხმების გავრცელება. საკმაოა, ერთმა კაცმა დაიძახოს, ბანკი იღუპებაო, რომ ყველა შეშფოთდეს და მიაშუროს ბანკს მიბარებულ ფულის გამოსატანად. ბანკი წააგავს ზღვაში მცურავს ხომალდს. ერთმა კაცმა რომ დაიყვიროს, ხომალდი იღუპება, წყალი შემოდისო, თუნდ მხოლოდ ერთი საათის სამუშაო იყოს გემში, ყველანი ისე შეშინდებიან და აღშფოთდებიან, რომ აღარ იციან, რა ჰქმნან, და პირდაპირ ზღვაში ვარდებიან. ასეთი შედეგი მოსდევს დაუფიქრებლად და გაუგებრად წამოყრანტალებულ სიტყვას. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ხმელეთზე ვართ და სრულიად არავითარი საშიში საქმე არა გვჭირს. ბ-ნ ჭიჭინაძის აზრი, გამოვდგეთ და ვიყვიროთ და ყოველი წვრილმანი გაჭირვება ქვეყანას გავაგებინოთო, არ ივარგებს: ჩვენი პატარა გაჭირვება სხვებს დიდათ მოეჩვენება და ყველა ერთად მოგვესევა ფულის უკანვე გასატანად. მაშინ რა უნდა ჰქმნას ცარიელმა ბანკმა? ის ხომ ქათამი, ან ზღაპრული ჯორი არ არის, რომ ერთბაშად დაგვიყაჰოს ოქროები! (საზოგადოება ტაშის კვრითა და „კმარა, კმარა“-ს ძახილით აწყვეტინებს მას სიტყვას). მცირეოდენ უმნიშვნელო კამათის შემდეგ ანგარიში დამტკიცდა. თავმჯდომარე გადადის მდგომარე წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვაზე. მდგომარე წლის ხარჯად ნავარაუდევია იმდენივე, რამდენიც წარსულს წელში, ე. ი. 39,143 მან. 94 კ.

ო. ბ. სვანიძე წინადადებას აძლევს კრებას წვრილ მოსამსახურეთ წასაქეზებლად საჩუქრად მიეცეთ თითო თვის ჯამაგირი. კრებამ ეს წინადადება დიდის ხმაურობითა და ყვირილით უარჰყო.

შემდეგ თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე კითხულობს საბჭოს წინადადებას, რომ ბანკის მოსამსახურეთ ავადმყოფობის ან სხვა გაჭირვების დროს ავანსად მიეცეთ ორის თვის ჯამაგირი. კრებამ მიიღო წინადადება.

კრებამ უარჰყო საბჭოს მიერ წარმოდგენილი მმართველობის რევიზორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ეხლანდელ საზოგადო კრებების მაგივრად შემოღებულ იქმნეს წარმომადგენელთა კრებები.

მიღებულ იქმნა წინადადება მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაარსების შესახებ. ამ კასის თანხას შეადგენს წმინდა მოგების 1/25 ნაწილი და მოსამსახურეთა ჯამაგირის 3%.

ამას მოჰყვა არჩევნები. ბანკის დირექტორად ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. საბჭოს წევრებად აირჩიეს ისევ გ. ფ. ზდანოვიჩი და დ. ნ. აბდუშელიშვილი. შემდეგ კენჭი უყარეს სარევიზიო კომისიის წევრთ, რომელსაც ასეთი შედეგი მოჰყვა: ზ. კ. მაჭავარიანმა მიიღო 183 თეთრი და 62 შავი; კ. რ. გოცირიძემ—158 თ. 86 შავი; ვ. ი. ქილაძემ (ძველი წევრია)—153 თეთრი და 90 შავი; ნ. მ. კანდელაკმა (ძველი წევრია)—114 თ. 131 შავი; დ. ნ. ჩიკვაიძემ (ძველი წევრია)—107 თ.—135 შავი; ნ. გ. ჭიჭინაძემ—84 თეთრი და 160 შავი; ზ. ი. ჭეიშვილმა 80 თეთრი და 166 შავი. ამგვარად არჩეულ იქმნა პირველი სამი კანდიდატი.

კრება დაიშალა ნაშუაღამევის 1½ საათზე.

დონ-გალიანი.

სამკურნალო საზოგადოების კრება

16 აპრილს კრება ჰქონდა სამკურნალო საზოგადოებას. სხვათა შორის, კრებამ განიხილა იმ კომისიის ანგარიში, რომელსაც ხალხისთვის სამკურნალო წიგნაკების გამოცემა აქვს მინდობილი. ადგილობრივ ენებზე (ქართულს, სომხურსა და თათრულზე) სულ სამ-სამი წიგნაკი გამოუციათ. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ადგილობრივ ენებზე სამკურნალო წიგნაკების გამოცემას თანაგრძნობით მიეგებება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, რომელსაც გადუდვია 300 მანეთი. სომხურ წიგნაკების გამოსაცემად ფული გადუდვია სომეხთა კათალიკოსს. ექიმ ტარსაიძეს შეუკრებია 200 მანეთი. თვით საზოგადოებას თანხა არა ჰქონია და ამ რიგად წიგნაკების გამოცემა შემოწირულების წყალობით შეიქმნა შესაძლებელი. წიგნაკები ხალხს მუქთად ურიგდება.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კრებას მადლობა გადაუხადოს შემომწირველთ და წინადადება მისცა, კომისია ახალის წევრებით გააძლიეროს.

შემდეგ წაიკითხეს სამკურნალო საზოგადოების 1902 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, შარშან საზოგადოება სამეცნიერო საგნებს გარდა პრაქტიკულ საქმეებსაც აქცევდა ყურადღებას. დიდი ყურადღება მიაქცია განსაკუთრებით ქალაქებში სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. ამ საგნის შესახებ განიხილა რამდენიმე მოხსენება. შემდეგ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ავჭალის მილის წყლის გამოკვლევას, სხვა-და-სხვა გადამდებ სენთან ბრძოლას და სხვას. საზოგადოებას განუზრახავს მხნედ მოეკიდოს ხელი ქალაქების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტფილისში სანიტარულ ნაწილის ორგანიზაციას.

საზოგადოებას დღეს ჰყავს 15 საპატიო წევრი, 46 მუდმივი, 221 ნამდვილი, 46 პროვინციელი წევრი და 26 წევრი-კორესპონდენტი. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია სულ 6000 მანეთამდე. უმთავრესი შემოსავალი საწევრო ფული ყოფილა. დაუხარჯავს 1902 წელს 5000 მანეთამდე. ამ ჟამად საზოგადოებას აქვს 10,000 მანეთამდე. საზოგადოებას აზრადა აქვს ეხლა საკუთარი სადგომის მოწყობა.

დასასრულ, კრებამ მოისმინა ექიმ ნიკოლსკის მოხსენება კავკასიაში მალარიასთან ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა მრავალი საბრძოლველი საშუალება აღნიშნა, მაგრამ კრებამ კამათის დროს მალარიასთან ერთ უმთავრესს საბრძოლველ საშუალებად სცნო ჭაობების ამოშრობა. ბათუმში, მაგალითად, ჭაობების ამოშრობის დროს თითქმის სულ მოისპო მალარია. მეორე მოხსენება წაიკითხა ექიმმა მარქაროვმა.

დაბა-სოფლები

სოფ. ატენი (ქართლი). კვირაცხოვლობის მეორე დღეს ატენის მახლობლად იციან დღეობა „ბარბარობა“. მშვენიერი ამინდი დაუდგათ წრეულს ატენელებს, ხიდისთაველებს, გორელებს და სხვა სოფლელებს; ამიტომაც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი „ბარბაროს“ ახლო. თითონ სალოცავი ძალიან პატარაა, ისე რომ შიგ ათი სული ადამიანი თავისუფლად ვერ მოტრიალდება.

შუადღე გადავიდა, ხალხი თან და თან ილეოდა ბარბარიდან. ატენელები შინისკენ გროვა-გროვა მიდიოდნენ თავიანთ ტანის ხიდზედ (ხიდი, რომელიც რატიშვილის მამულის ახლოს არის გადებული). ხალხი ნელ-ნელა გადიოდა, რადგან ცოტა სახიფათო ხიდი იყო. უცბათ ერთი წივილ-კივილი გაისმა. ხმაზედ მეც ხიდისკენ გავიქეცი და შუა ადიდებულ ტანაში, რომელიც მეტის-მეტად ჩქარა მიმდინარეობს, დავინახე, შვიდ-რვა-წლის ვაჟს მიარბენინებდა წყალი. შეცვივდნენ წყალში, მაგრამ სიმთვრალისაგან თითონაც ფეხზედ ვეღარა დგებოდნენ. ბოლოს ნახევარ ვერსის სიშორეზედ ერთმა უფრო მოხერხებულმა ახალ-გაზრდა კაცმა დაიჭირა ბავშვი და

კინი-ბავშვი. ყოველთვის მესიამოვნებოდა, როდესაც მეთამაშებოდნენ ისე, როგორც ესიამოვნებათ ჩვენს ბავშვებს. აი, როგორი იყო ჩვენი ქორწინება“.

რადგან ეს ქორწინება არ არის ქორწინება ნორასთვის, იგი გადასწყვეტს დასტოვოს ქმარიც და შვილებიც, რომელთა აღზრდა აღარ შეუძლიან. ტყვილად მოაგონებს გელმერი, ყველაზე უწინარეს ცოლი და დედა ხარო. „ეგ მე არ მჯერა, მწარედ უპასუხებს ნორა: მე ვფიქრობ, რომ ყველაზე უწინარეს ადამიანი ვარ, ისეთი, როგორიც შენ, ყოველს შემთხვევაში მე მინდა, შევიქნე ასეთი ადამიანი“. ნორა მიდის, მოიქცევა ისე, როგორც ამბობს. მას ადგილი არა აქვს წინანდელს ოჯახში, მისი დარჩენა ისევ ძველი ცხოვრების განგრძობა იქნებოდა, მაშინ არ იქნებოდა დრამაც, ქმართან შეტაკება, თავისუფლად სულის ამოსუნთქვა, თავისუფალი ცხოვრების წყურვილი.

ნორას სახლიდან წასვლამ დიდი პროტესტი გამოიწვია ბურჟუაზიულ საზოგადოების და ფარისეველ მორალისტების მხრივ: ეს უზნეობაა, ქორწინების და ოჯახის მოსპობაა, გაიძახოდენ. იბსენიც აიძულეს შეეცვალა პიესის ბოლო: გელმერი მიუთითებს ნორას მეორე ოთახში მძინარე შვილებზე და ნორაც რჩება. მაგრამ ეს ბოლო მალე უკუაგდო იბსენმა. იგი სრულიად არა-ბუნებრივია და არ შეეფერება პიესის დედააზრს. პიესა გვიხატავს ნორას როგორც ცოლს, პიესის მოქმედება ცოლის და ქმარის შეტაკებაა. თუ ნორა ცუდი დედაა, ესეც ხომ გელმერის ბრალია, რადგან მისის მიზეზით არის მათი ქორწინება უსაზღვრო სიყალბე. თვითონ გელმერი ამბობს, რომ სიცრუე სწამლავს ჰაერს, რომელშიაც იმყოფებიან ბავშვები. ნორა რომ დარჩეს, ხომ შვილები უნდა მოსწამლოს!

ნორასავით განშორდება ქმარს ზელმაც („ახალგაზრდობის კავშირი“) და შემდეგის საყვედურით მიმართავს მას: „ო, როგორ მაცირებდით მუდამ! უსინიდისოთ!... ყოველთვის მაძლევდით აქეთ და ჩემგან კი არაფერი არ მიგქონდათ. მე ვიყავი მთხოვარა გლახა თქვენ შორის. არასოდეს არ თხოულობდით ჩემგან არავითარს მსხვერპლს, არ მთვლიდით იმის ღირსად, რომ ჩემთან გაგენაწილებიათ თქვენი მწუხარება. მე თქვენ მძულხართ, მეზიზღებით!... მინდოდა მუშაობა, თქვენის დარდებით ცხოვრება, მაგრამ როდესაც ამას გეხვეწებოდით, ხუმრობით მიპასუხებდით. მომრთავდით როგორც ტიკინს, მეთამაშებოდით როგორც ბავშს. მინდოდა მწუხარება, ღელვა და ქარიშხალი, რაიც ამაღლებს ადამიანს, და მოკლებული ვიყავი ყველაფერს ამას. ჩემი სული დამარხული იყო... მე არ შემიძლია აქ დარჩენა. წავალ, ქუჩაში ვიმღერებ, ვითამაშებ და ისე მოვიპოვებ ლუკმას და ვიცხოვრებ!“...

ასე უნდა მოიქცეს ელიდას („ზღვის ქალი“). მისი გათხოვება ნამდვილი ვაჭრული ყალბი ქორწინება იყო. ქვრივმა, ორი შვილის პატრონმა ვანგელმა იყიდა კანდელის დარაჯის ქალი, ე. ი. თავის სიმდიდრით მიიზიდა და შეაცდინა ქალი, რომელსაც მისდამი არავითარი სიყვარული არ ჰქონდა. მაგრამ როდესაც შემდეგ ელიდამ მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, ჩაუკვირდა თავის ცხოვრებას, დაინახა, რომ მონაა, მისი ქორწინება არ იყო თავისუფალი, საკუთარის ნებით მოპოვებული. განიზრახავს გაქცევას, უნდა გაჰყვეს უცხოელს ზღვაოსანს, რომელიც მისთვის განხორციელებული თავისუფლებაა. მხოლოდ აქ ხდება ის სასწაული, რომელსაც ტყვილად მოელოდა ნორა. ვანგელი სრულს თავისუფლებას ანიჭებს ელიდას, ათავისუფლებს ქორწინების კავშირისაგან და ეუბნება: „მოიქეცი ისე, როგორც შენმა თავისუფალმა სინიდისმა გითხრას, თავისუფლად ამოირჩიე ეხლა: მე გინდივარ, თუ უცხოელიო“.

მონობის ბორკილი დაიმსხვრა. ელიდამ მოიპოვა, რისთვისაც უნდოდა გაქცევა სახლიდან, მოიპოვა თავისუფლება. ქმარმა მისცა ის, ურომლისოთ მისი ცხოვრება შებორკილი იყო. მოიპოვა უფლება თავისუფლად მოქმედებისა, თავისუფლად შეუღლებისა. ელიდა აღარ შორდება, გადაეხვევა ქმარს, რადგან ქმარმა იცნო იგი თავისუფალ, თანასწორ უფლებიან არსებად. დღეიდან მათი ქორწინება არის ნამდვილი ქორწინება თავისუფალ, თანასწორ-უფლებიან პიროვნებათა. გელმერს კი არ ჰქონდა შეგნებული ასეთი ქორწინება და ნორას არც შეეძლო მასთან ცხოვრება. გელმერს სურდა უფროსობა, მასწავლებლობა, წინამძღოლობა. ნორას მობეზრდა მუდამ სხვის იარაღად, ბავშად ყოფნა.

ქმარს გაექცევა ქ. ალვინგიც, მხოლოდ მალე დაბრუნდება ისევ უკან ცრუ მორალისტის პასტორის რჩევით, დაბრუნდება, მაგრამ ინანებს, რადგან შეიქმნება საკუთარის შვილის მკვლელი. ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

კალამი.

(შემდეგი იქნება)

ტოლხალ-მკვდარი ნაპირზედ გამოიტანა. ამას დიდძალი ხალხი შემოესწრო და დიდხნის წვალების შემდეგ ბავშვი გონს მოიყვანეს. გავიდა მცირე ხანი, რომ უცბათ უფრო გულ-საკლავი წივილი და „მამას“ ძახილი შეიქნა: ტანს გახდაც მოარბენინებდა, გაებერთელა ტვირთს; ნასვამ კაცს, რომელიც ხიდიდან ტანში გადავარდნილიყო. ამასაც ბევრი ხალხი დაედევნა, წვალების შემდეგ ნაპირზედ გამოათრიეს და ისიც ძლივს გონს მოიყვანეს.

დამსწრეთაგანი.

სასამართლო

ერთის ყაჩაღის მიერ ოთხი კაცის გაძარცვა.

გუშინ სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ზუგდიდის მაზრის სოფელ ჯაგანის მცხოვრების, მღვდლის შვილის სერაფიონ პეტრეს ძის კვირცხელიასი, რომელსაც ყაჩაღობა ბრალდებოდა. გამოძიებით შემდეგი გამოირკვა: 1902 წელს, 1 ივნისს წალენჯიხში მეპურთიქეს ნარკაიას სწვევიან წალენჯიხის ბოქაული ვარლამ ბოცუნავა, ადგილობრივი ექიმი თავ. ასლან გელოვანი და კანტორის თავადთუაძე. სტუმრები საღამოს 10 საათზე ხაის შეექცეოდნენ ოთახში, როდესაც ოთახში შესულა და კარებში ჩამდგარა ვიღაც კაცი. უცნობს მარჯვენა ხელში რევოლვერი ეჭირა და მთლად შეიარაღებული ყოფილა. რევოლვერი ოთახში მყოფთათვის მიუშვერია და უთქვამს: „მე ისეთი საჭირო მაქვს გარდაწყვეტილი და ისეთ ქვეყნიდან (ციმბირიდან) ვარ გამოქცეული, რომ ჩემთვის სიკვდილი და სიცოცხლე სულ ერთია. მომეცით ფული! მითხრეს, მეპურთიქეს ნარკაიას 500 მან. აქვსო“. უცნობს ეს სიტყვები რუსულ ენაზე უთქვამს, შემდეგ გაუდია ფინჯანი, ზურგით კედელზე ფრთხილად მიწოლილა და განუცხადა: „შენ, ბოქაულო, რევოლვერი გექნება და მომეცი!“ აგრეთვე უბრძანებია იქ მყოფთათვის ხელები ამოიღეთ, სტოლზე დააწყეთ და არ გაინძრეთო. თავადთუაძეს უცნობისთვის მკრეხელად უთქვამს ნარკაიას ფული არა აქვსო. უცნობს უპასუხნია: „შენი საქმე არ არისო!“ და შემდეგ ისევ რუსულად უბრძანებია ფულის მოტანა. მეპურთიქეს ამოუღია ქისა, რომელშიაც ოცი მანეთი ყოფილა. ყაჩაღს თავადთუაძისათვის უბრძანებია ნარკაიას ქისიდან ფული სტოლზე დაეყარა. შემდეგ ყაჩაღს ფული მოუთხოვნია ექიმ გელოვანისათვის. გელოვანს ორი მანეთი ამოუღია. ყაჩაღს უთქვამს მაგ გროშებს რა თავში ვიხლი! მოიტა მეტიო! გელოვანს ამოუღია ქისა და დაუდვია მაგიდაზე. ქისაში 20 მან. ყოფილა. ყაჩაღს კიდევ მოუთხოვნია ნარკაიასთვის ფული. ნარკაია წასულა, გაუღია დახლი ათვიაქისა, საიდაც მხოლოდ 8 მანეთი ყოფილა, მოუტანია და სტოლზე დაუდვია. თავადთუაძეს კიდევ ჯიბე გადმოუბრუნებია, ყაჩაღი რომ აღარ მოეჭშორებინა. შემდეგ უთქვამს, ოქროს საათები გექნებათ და სტოლზე დააწყეთო. საათი არავის არ ჰქონია, გარდა გელოვანისა. ყაჩაღის ბრძანებით თავადთუაძეს სტოლზე დაყრილი ფული და საათი ჩაუყრია ერთ ქისაში, შეუკრავს და ყაჩაღისათვის გადაუცია. ამის შემდეგ ყაჩაღს ბოქაულისათვის დაუწყია დაცინვა, რევოლვერი დაუმიზნებია, და უთქვამს: „შენ, პრისტავო, ეს მოგიხდება!“ და უსროლია რევოლვერი. დაჭრილი ბოქაული წაქცეულა, ხოლო ყაჩაღი გაქცეულა.

ამის შემდეგ შესდგომიან ყაჩაღის ძებნას, გაუგიათ, რომ კვირცხელია ყოფილა, დაუჭერიათ და პასუხის გებაში მიუციათ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ეს საქმე განუხილავს ორი თვის წინად, კვირცხელია დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია კატორღაში 6 წლით გაგზავნა. ბ-ნ კვირკველიას შუამდგომლობით ბრალდებულს ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში. პალატამ გუშინ განიხილა ეს საქმე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აპრილი

კონსტანტინეპოლი. პორტა აცხადებს, რომ კომისია იპეკიდან და მარშალი ომერ-რუშდი საიმედო ცნობებს იტყობინებიანო. მოსახლეობა, ალბანელები რეფორმების შემოღების წინააღმდეგობაზე უარს იტყვიან და მთელ მომავალში სრული მშვიდობიანობა დამყარდება.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ უარს ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ ოსმალეთისა და ბოლგარიის ჯარებს შუა შეტაკება მოხდა საზღვარზე.

რომი. სადღესასწაულო სადილზე მეფემ ვიქტორ-ემანუელმა იტალიურ ენაზე სადღეგრძელო წარმოსთქვა ინგლისის მეფე-დედოფლისა და სრულიად მეფის სახლეულობისა. მეფე ედუარდმა სამადლობელი გადაუხადა ინგლისურს ენაზე და სამაგიერო სადღეგრძელო მიართვა იტალიის მეფე-დედოფლისა.

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დილით სასინოდო სტამბაში ბრძანდებოდნენ. შესავალში მიეგებნენ: სენატორი საბლერი, სტამბის გამგე და მოხელენი; მუშები და შეგირდები თავისის ორკესტრით და მომღერალთა გუნდით იყვნენ. უფროსმა მუშამ აფანასიევმა მათ უდიდებულესობათ მიართვა მუშების მიერვე გაკეთებული ხატი; დედოფალსა და დიდ მთავრის მეუღლეს თაიგულები მიართვეს. ორკესტრმა და გუნდმა იმღერეს „ბოჟე ცარია ხრანი“. მათ უდიდებულესობათ დაწვრილებით დაათვალიერეს სტამბა, ბიბლიოთეკა და მუზეუმი. პეტრე დიდის საბეჭდავ მანქანაზე მათის უდიდებულესობათა თანადასწრებით ადბეჭდეს ტექსტი. აქედან მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი პოკროვსკის ტაძარში წავიდნენ, სადაც სამღვდელოება მიეგება; აქაურ წმიდანებს ემთხვივნენ, ტაძარი და იმისი სალარო დაათვალიერეს, საკურთხად ხატები მიიღეს და მერე ნოვოსპასკის მონასტერს წაბრძანდნენ.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სომალილენდის ამბების შესახებ შეკითხვაზე ლენსდოუნმა გამოაცხადა, რომ გენერალს მანინგს ბრძანება გაუგზავნა, იქაურ ამბების შესახებ დაწვრილებითი ცნობები წარმოადგინოსო.

პრაღა. აშსა და იმის მიდამოებში რამდენჯერმე ინძრა მიწა.

ბერლინი. რომს მოგზაურობის დროს იმპერატორ ვილჰელმს თან ეხლება გრაფი ბიულოვი და გენერალ-ფელდმარშალი გაზელერი.

კონსტანტინეპოლი. რადგან პორტ-საიდში შავი ჭირით ავად გახდომის ამბავი დამტკიცდა, სასანიტარო საბჭომ განკარგულება მოახდინა, პორტ-საიდიდან მოსული გემები 24 საათით კარანტინში უნდა იყოს და დეზინფექციაც უნდა გაუკეთონო.

რომი. 15 აპრილს მეფე ედუარდმა და მეფემ ვიქტორ-ემანუელმა სხვა-და-სხვა შესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს ქალაქში; სადამოს დიპლომატთა წარმომადგენლნი მიიღო მეფემ. 8 საათს სადღესასწაულო სადილი გაიმართა, სადილის შემდეგ არგენტინას თეატრში—წარმოდგენა.

ვენა. საქსონიის მეფე მიუნხენს წავიდა. იმპერატორმა ვოკზალამდე მიაცილა მეფე.

17 აპრილი.

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი, დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის სახელობაზე გამოცემული: „თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ! უფალმა ხელ-ახლად მოგვივლინა მე და ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს ნუგეში, რომ ჩვენის შვილებითურთ მოსკოვში გაგვეტარებინა ქრისტეს ვნების კვირა ჩვენდამი ერთგულ ხალხთან ერთად ლოცვა-ვედრებით შეერთებულთ, დიდს გვეთ მიგველო წმიდა საიდუმლო და სიხარულით დაგვხვედროდით ბრწყინვალე ქრისტეს დღესასწაულს. ჩვენის დედის, წმიდა ეკლესიის მადლ-ცხებულ შერ-ქვეშ, ძველ კრემლში, მოსკოვის სიწმიდეთა და სამშობლოს ისტორიის დიდებულ ძეგლთა შორის რუსეთის სიძველეთა ანდერძებში და ხალხის განახლების ნიშნებში მე ვპოვებ ახალ ძალას საყვარელ სამშობლოსადმი სამსახურისათვის. ამგვარ სულიერ ვითარების დროს მე მინდა გულწრფელად გამოვუცხადო თქვენ იმპერატორებით უმაღლესობას და თქვენით ჩემთვის ძვირფას მოსკოვს მადლობა იმ სასიხარულო დღეებისათვის, რომელიც მე ჩემ ოჯახთან ერთად მოსკოვში გავატარე. გიცხადებთ აგრეთვე, თქვენო უმაღლესობავ, ჩემ გულ-წრფელს მადლობას იმ ნაყოფიერ შრომისათვის, რომელიც მოსკოვში გაწიეთ, და სამაგალითო წეს-რიგისათვის. მე დიდად გამახარა, როდესაც დავრწმუნდი, რომ ამ წეს-რიგის დამყარებისათვის მოხელეებთან ერთად თვით მცხოვრებნიც ცდილობდნენ. დაგრჩებით მუდამ თქვენდამი კეთილ-განწყობილი“.

ნამდვილზე მისის უდიდებულესობის ხელით აღნიშნულია: „თქვენი გულ-წრფელად მოყვარული და მადლობელი

ნიკოლოზ“.

სოფია. გაზეთები იუწყებიან, რომ 15 აპრილიდან სალონიკიდან 12 კილომეტრზე დედეაგაჩის ლიანდაგზე მატარებელი აუფეთქეს. ამ მატარებელს ოსმალთა ჯარის ერთი ბატალიონი მიჰყავდა.—ტროსკოვსა და დოკატინწვის ახლოს ცხარე შეტაკება მოუხდა ჯუმაის რაზმს. რამდენიმე წვრილ ბოლგარელთა რაზმისა საზღვარს გადავიდა და იქ ბოლგარელთა პოლიციამ დაიჭირა. ოსმალთა მმართველობა იარაღს აყრევინებს მაკედონიის მცხოვრებთ.

15 აპრილს სალონიკთან ჯარის კაცთა მატარებლის აფეთქება სცადეს; როგორც ცნობებიდან სჩანს, მხოლოდ ლოკომოტივი აუფეთქებიათ. კომიტეტები კი იუწყებიან, რომ მკვდრები და დაჭრილებიც არიანო.

მოსკოვი. 16 აპრილს, მეოთხე საათზე, მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ ვნების მონასტერი ნახეს.

საღამოს მეშვიდე საათზე მათი უდიდებულესობანი მოსკოვიდან წავიდნენ. სამეფო გზა სავსე იყო მრავალი ხალხით; ქვეითი ჯარი ორ-მწკრივად იდგა ცივი იარაღით შეიარაღებული სამუსიკო ხოროთი. სადგურზე ქალები შეიკრიბნენ, რომელთაც სასახლეში შესვლის ნება აქვთ, შინაგან საქმეთა მინისტრი, სამხედრო ოკრუგის ჯარების უფროსის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი დანილოვი, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გოფმეისტერი ბულიგინი, გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის და მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი, სამხედრო და სამოქალაქო უფროსები. თავად-აზნაურები, ქალაქის გამგეობის წევრნი, ხმოსანნი და წოდებათა წარმომადგენელნი. ხალხის და ჯარის გაუთავებელ „ურა“-ს ძახილში და ხალხური ჰიმნის დაკვრის დროს მათ უდიდებულესობათ ახლად ეკლესიით გაიარეს, დადგნენ იბერიის ნიშთან და ღვთისმშობლის ხატს ემთხვივნენ. დიდი მთავარი და დიდ-მთავრის მეუღლე მათ უდიდებულესობით სადგურზე დახვდნენ. ავგუსტოესი შვილები სადგურზე ერთი საათით ადრე მოვიდნენ. მათ უდიდებულესობათ დაუარეს შეკრებილთ და მოწყალეთ გამოეთხოვნენ, რის შემდეგაც ვაგონში შევიდნენ. მატარებელი ხალხის „ურა“-ს ძახილში დაიძრა.

მოსკოვი. გრაფმა ორლოვ-დავიდოვმა მათ უდიდებულესობის მეორე თავად-აზნაურთა თავშესაფარის ნახვის სახსოვრად ამ თავ-შესაფარის სასარგებლოდ 50,000 მანეთი შესწირა.

რიაზანი. ტუსაღი ესკოვი, რომელმაც დედა-მღვდლის ტიხონოვის მოკვლა განიზრახა, ფსიხიატრიულ სამკურნალოდან გაიქცა.

კონსტანტინეპოლი. ორი უკანასკნელი შეტაკება ოსმალთა ჯარისა ბოლგართა რაზმებთან მოხდა, ერთი იუნუსთან და მეორე პეტრიჩესკის ოლქში.

ბიზერტა. პრეზიდენტი ლუბე „ჟანნა დ'არკ“-ით დღეს მოვიდა.

რომი. მეფე ედუარდი ამაღამ ინგლისის საელჩოდან წავიდა.

ბერლინი. სტატს-სეკრეტარმა პოსადოვსკიმ, პრეზიდენტის კითხვაზე, თუ როდის მოგვცემს პასუხს მართველობა სავაჭრო პირობების გაუქმების ვადის შესახებ, განაცხადა, რომ სახელმწიფოს კანცლერი ჯერ პასუხს ვერ მისცემს იმაზე, თუ როდის შესცვლიან ან არსებულ სავაჭრო პირობებს ახალი პირობებით. ამისთვის მას საკმაო საფუძვლიანი მიზეზები აქვს და ეს მიზეზები მეურნეობის ინტერესებს ძალიან ახლო ეხება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსაჭრი ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევს 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 01 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—23)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს“
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—10)

გამოვიდა და იყიდება
ყველგან
„ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ
ახლად გამოცემული წიგნი
ბარტეკ ძლევამოსილი
ჰენრიკ სენკევიჩისა
IV+106 გვ.
ფასი 20 კაპ. (უ. 3—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაზანისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პეტრესი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პრაქტ. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ყველა წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)